საქართველოს მთავრობის

დადგენილება

N 255 2016 წლის 9 ივნისი ქ. თბილისი

„სოციალურად დაუცველი ოჯახების (შინამეურნეობების) სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 31 დეკემბრის №758 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „სოციალურად დაუცველი ოჯახების (შინამეურნეობების) სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 31 დეკემბრის №758 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 31/12/2014, 280120000.10.003.018378) შეტანილ იქნეს ცვლილება და პირველი მუხლის პირველი პუნქტით დამტკიცებული „სოციალურად დაუცველი ოჯახების (შინამეურნეობების) სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების მეთოდოლოგიის“:

1. მე-8 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) Y5,1 – ელექტროენერგიაზე, ბუნებრივ გაზზე, წყალსა და დასუფთავებაზე გადახდილი თანხა, ბოლო 12 თვის განმავლობაში,

რომელიც აითვლება ოჯახის დეკლარაციის შევსების თვის წინა მეორე თვიდან.“.

2. მე-11 მუხლის „მ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მ) Y8,11 – საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 დეკემბრის №671 დადგენილებით დამტკიცებული „მაღალმთიან დასახლებათა ნუსხით“ გათვალისწინებული მაღალმთიანი რეგიონის ინდიკატორი (Y8,11=1, თუ შინამეურნეობა მთიან რეგიონშია და Y8,11=0 წინააღმდეგ შემთხვევაში).“.

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და გავრცელდეს გამოქვეყნების დღიდან შეფასებულ ოჯახებზე (ოჯახები, რომელთა ოჯახის დეკლარაცია შევსებულია დადგენილების გამოქვეყნების დღეს და შემდგომ პერიოდში).

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**